

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს

სხდომის ოქმი N14

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

13.04.2018წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე -*გიორგი ივანიაძე*.

სხდომას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი: გიორგი ივანიაძე, რამაზ არველაძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, გელა ჩიკვაძე, ეთერ ჭიჭინაძე, გელა ღვიტიძე.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, ვლადიმერ ჭვალაძე, კობა ძაგნიძე. (დანართი N1)

სხდომას ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - *ლუბა გოგოძე*.

მოწვეული პირები:

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი -*ივანე მამფორია*.
მერიის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი -*ზვიად კაპანაძე*.

სხდომის თავმჯდომარე გიორგი ივანიაძე საკრებულოს ღია სხდომას 13³⁰ საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო საკრებულოს 2018 წლის 13 აპრილის დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.“

მომხსენებელი: /*ივანე მამფორია*/

2. „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირისა,

უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 მარტის N82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: /ტარიელ ბარამიძე/

3. „ვანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ტერიტორიაზე-ქალაქ ვანის ქუჩებსა და სკვერებში, ასევე ვანის მუნიციპალიტეტში შემავალი თემების/სოფლების ადმინისტრაციულ ცენტრებში, სკვერებსა და საზოგადოებრივ თავშეყრის სხვა ადგილებში წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის აკრძალვის წესის დამტკიცებისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 აგვისტოს N32 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

მომხსენებელი: /გელა ჩიკვაიძე/

4. „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გეოგრაფიული ობიექტების სახელდებისა და ქუჩების, ხეივნების, მოედნების, სკვერების, შესახვევების, ჩიხების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებისა და ბინების, კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 თებერვლის N8 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

მომხსენებელი: /გელა ჩიკვაიძე/

5. „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის, საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრისა და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების პრივატიზების პროცესის დაჩქარებისა და მოწესრიგების ღონისძიებათა თაობაზე.“

მომხსენებელი:/ზვიად კაპანაძე/

6.სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ კენჭი უყარა 2018 წლის 13 აპრილის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე - 9

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ივანე მამფორიამ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა საკრებულოს 2016 წლის 30 დეკემბრის N31 დადგენილებით. შემოსულობების და გადასახდელების მოცულობა განისაზღვრა 6800,0 ათასი ლარით, 2017 წლის განმავლობაში ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების შედეგად შემოსულობები დაზუსტდა 12029,3 ათასი ლარის, გადასახდელები 14156,2 ათასი ლარის, ხოლო ნაშთის ცვლილება 2126,9 ათასი ლარის მოცულობით.(დანართი N2)

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პირველ საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2018 წლის 13 აპრილის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ტარიელ ბარამიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გარდა საკრებულოს თანამდებობის პირისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 მარტის N82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. (დანართი N3)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მთავრობის ადმინტრაციიდან ამ დადგენილებაზე მოვიდა შენიშვნები, გაითვალისწინეს ეს შენიშვნები და შეიტანეს ცვლილება დადგენილებაში. კერძოდ, ხარჯების ანაზღაურებაში იქნა შეტანილი ცვლილებები.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეორე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2018 წლის 13 აპრილის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა დადგენილების „ვანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ტერიტორიაზე-ქალაქ ვანის ქუჩებსა და სკვერებში, ასევე ვანის მუნიციპალიტეტში შემავალი თემების/სოფლების ადმინისტრაციულ ცენტრებში, სკვერებსა და საზოგადოებრივ თავშეყრის სხვა ადგილებში წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის აკრძალვის წესის დამტკიცებისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 7 აგვისტოს N32 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.(დანართი N4)

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მესამე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2018 წლის 13 აპრილის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაიძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გეოგრაფიული ობიექტების სახელდებისა და ქუჩების, ხეივანების, მოედნების, სკვერების, შესახვევების, ჩიხების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებისა და ბინების, კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 თებერვლის N8 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.(დანართი N5).

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეოთხე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2018 წლის 13 აპრილის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეხუთე პროექტთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის, საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრისა და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების პრივატიზების პროცესის დაჩქარებისა და მოწესრიგების ღონისძიებათა თაობაზე.“(დანართი N6)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეიტანეს 6 ობიექტი და განისაზღვრა მათი საწყისი ფასები.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის მეხუთე საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -9

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2018 წლის 13 აპრილის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ „სხვადასხვაში“ საკითხები არ განხილულა.

ამით ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

გიორგი ივანიაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის თავმჯდომარე